

ცაგერის მუნიციპალიტეტის ალპანის თემის მაჟორიტარი დეპუტატის ანგარიში მაიზერ
ახვლედიანის 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

2019 წელში ხშირი შეხვედრები ტარდებოდა სოფლებში: ზოგიში-ცაგერა. ალპანა და საირმე, რასაც ხშირად ესწრებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა: მერი- ბატონი ავთანდილ უგრეხელიძე, საკრებულოს თავმჯდომარე: ბატონი გიორგი გუგავა და სხვები. შეხვედრების დროს მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნებია: გზა, სასმელი წყალი, გარე - განათებების მოწყობა, თავშეყრის ადგილების რეაბილიტაცია, კლუბების რეაბილიტაცია, მინი სპორტული მოედნების მოწყობა, ტრენაჟორები და უამრავი სხვა საჭირობო საკითხები. სოფელ საირმეში შეკეთდა გზის საფარი, ნაწილობრივ გაკეთდა სანიაღვრე სისტემა.

სოფლის პროგრამის დაფინანსებით სოფელ საირმეში შეკეთდა სასმელი წყლის მაგისტრალი, გაკეთდა გარე განათება. სოფელ ზედა საირმეში გაკეთდა გარე განათება, ზოგიში-ცაგერაში დაიგო ბეტონის საფარი 60მ სიგრძეზე. გაკეთდა გაბიონი, სანიაღვრე სისტემა და მოიხრემა გზები. ახლა მიმდინარეობს ბეტონის საფარის დაგება 245მ სიგრძეზე. სოფლის პროგრამით შემოიღობა სასოფლო-საეკონომიკური და სათიბეები.

ზოგიში ბინულის წყალთან გაკეთდა საცურაო აუზი. სოფელ ალპანაში გაკეთდა ბეტონის საფარი 100მ სიგრძეზე და სანიაღვრე სისტემები. მინი სტადიონები და ტრენაჟორები. სოფლის პროგრამით მოსახლეობის თავშეყრის ადგილის რეაბილიტაცია და გარე განათება. რაც გაკეთდა მოსახლეობა კმაყოფილია, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

ჩემი მოხსენებითი ბარათები შედგენილია მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე. აუცილებელია სოფელ ზოგიში- ცაგერაში გაგრძელდეს გზის რეაბილიტაცია. სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, კლუბის რემონტი, მინი სპორტული მოედანი, გარე განათება და სხვა. სოფელ ალპანაში საერთოდ დაიკარგა სასმელი წყლის სათავე, მოსახლეობა ითხოვს დახმარებას, სოფელი საირმე, გზა, წყლის სათავე ნაგებობა და სხვები. (ზოგიში- ღვირიშის გზა).